აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 20 | 7 დეკემბერი 2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (09-01-08/21 15.11.2021 წელი)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

15.11.2021 წელი	წამყვანი კომიტეტი: 14.12.2021 სხვა კომიტეტები: 13.12.2021	საშემოდგომო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 5256/02 "15" 11 2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს.

გთხოვთ, კანონპროექტი განიხილოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, გამარტივებული წესით.

დანართი: ,, 5 " ფურცელზე.

09-01-03/21
15. 11 2021
6. ფურცელი

პატივისცემით,

თორნიკე რიჟვაძე

09-02-15/851
1 4
15 11 2021

6010 ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას 9
ტელ.: (422) 272006, 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 9. Gamsakhurdia Str.
Phone: +995 (422) 272006, 272070
administration@ajara.gov.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2044

2021 წლის 12 ნოემბერი ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ

აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის ,,ზ“ და ,,კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

2. ბრძანების 1–ლი პუნქტით გათვალისწინებული კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვისას მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მირიან ქათამაძე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თორნიკე რიჟვაძე

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, როგორც რეგიონში სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დამგეგმავი უწყების მიზანია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, რომლის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა სოფლად მცხოვრები მოსახლეობისა და დარგში დასაქმებული პირების მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე, ასევე, სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გადაცემით.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნული ქონების გადაცემის პროცესი ექცევა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის რეგულაციის სფეროში. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა ნებადართული საფუძვლით შეძენილი თუ უსასყიდლოდ მიღებული ქონების უსასყიდლოდ გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით, გადაცემის პროცესი ხდება არაპრაქტიკული და ხანგრძლივდება დროში.

სამინისტროს მიერ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე, ასევე აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირებზე აღნიშნული ფორმით (ქონების - აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გადაცემა) მხარდაჭერის მრავალწლიანმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ წინასწარ განსაზღვრული მიზნით ქონების შესაბამის პირებზე გადაცემისას (გადასაცემი ქონების სპეციფიკურობის, აგროვადების და სხვა გარემოებების გამო) მნიშვნელოვანია გადაცემის პროცესი განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რაც გადაცემის პროცესს გახდის ეფექტურს და გადაცემის წინასწარ განსაზღვრული მიზანი (პირობა) მიღწეული იქნება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კანონმდებლობით ნებადართულ შემოსავალს წარმოადგენს გრანტი, გრანტების ფარგლებში, სახელმწიფო ორგანიზაციებზე ქონების გადაცემა დონორი ორგანიზაციების მიერ უმეტეს შემთხვევაში ხორციელება კონკრეტული მიზნობრიობით, განსაზღვრულ პირთა წრეზე შემდგომი გადაცემის მიზნით, რა დროსაც, ასევე ჭიანურდება გადაცემის პროცესი საკანონმდებლო ბარიერების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტი გრანტების ფარგლებში ქონების გადაცემის პროცესსაც მოქნილს და ეფექტურს გახდის.

წარმოდგენილი პროექტით, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ დაწესებულებებს, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა

უწყებებს ექნებათ შესაძლებლობა, კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით შესყიდული ან/და უსასყიდლოდ მიღებული მოძრავი ქონება, გადასცენ ფიზიკურ, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის მოქმედი რედაქციიის პირველი მუხლის მე 2 პუნქტიდან „გ[1]" ქვეპუნქტის ამოღებასა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შინაარსის „ვ" ქვეპუნქტში ზოგადი სახით ასახვას, რომელიც პროგრამ(ებ)ის/ქვეპროგრამ(ებ)ის ფარგლებში შეძენილ ქონებას ეხება, და ამავე „ვ" ქვეპუნქტში კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით შესყიდული ან/და უსასყიდლოდ მიღებული მოძრავი ქონების (შემოსავლების, უსასყიდლოდ მიღებული მოძრავი ქონების მიღების პირობის (მიზნის) შესაბამისად) გადაცემაზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის გაუვრცელებლობის რეგულაციის დამატებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღებით, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ დაწესებულებებს, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა უწყებებს მიეცემათ შესაძლებლობა, კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით შესყიდული ან/და უსასყიდლოდ მიღებული მოძრავი ქონება (შემოსავლების, უსასყიდლოდ მიღებული მოძრავი ქონების მიღების პირობის (მიზნის) შესაბამისად) გადასცენ ფიზიკურ, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებს ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის მოქმედი რედაქციიის პირველი მუხლის მე-2 პუნქტიდან „გ[1]" ქვეპუნქტის (სადაც მითითებულია ქონების გადაცემის ერთ-ერთი - განათლებისა და კულტურის სფერო) ამოღებასა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შინაარსის „ვ" ქვეპუნქტში ზოგადი სახით ასახვას, რომელიც პროგრამ(ებ)ის/ქვეპროგრამ(ებ)ის ფარგლებში შეძენილ ქონებას ეხება და ამავე „ვ" ქვეპუნქტში კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით შესყიდულ ან/და უსასყიდლოდ მიღებული მოძრავი ქონების გადაცემის რეგულაციის დამატებას, რაც აღნიშნული ქონების შესაბამის პირებზე გადაცემის პროცესს პრაქტიკულს და ოპტიმალურს გახდის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ან სხვა წყაროებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს გაუმართლებელ ფინანსურ შედეგებს იმ პირთა მიმართ, რომელთაც ის ეხება, კანონპროექტი შექმნის პრაქტიკულ და ოპტიმალურ სამართლებრივ მექანიზმს, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, ასევე, გარემოს დაცვის, სატყეო და სხვა მიმართულებით ქონების განკარგვის პროცესში.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები: გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №68, 14.12.2010) პირველი მუხლის მე-2 პუნქტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 პუნქტის „გ1“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

ბ) მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული პროგრა-მ(ებ)ის/ქვეპროგრამ(ებ)ის ფარგლებში შეძენილ ან/და შექმნილ ქონებაზე, ასევე, კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით შესყიდულ ან/და უსასყიდლოდ მიღებულ მოძრავ ქონებაზე, რომელიც შესაბამისი პროგრა-მ(ებ)ის/ქვეპროგრამ(ებ)ის ან/და კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების, უსასყიდლოდ მიღებული მოძრავი ქონების მიღების პირობის (მიზნის) შესაბამისად, ექვემდებარება ფიზიკური, საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე
თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
---- ---------- 2021წ.
N--------

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

16/11/2021
N 1863

1863-09-02-11-3-202111161454

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ

(N09-01-08/21, 15.11.2021 წ. ინიციატორი: აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

განხილვის შედეგად, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს წარმოდგენილი კანონის პროექტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნა:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონპროექტს უნდა დაერთოს იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილ კანონპროექტს თან არ ერთვის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება,

წარმოდგენილი კანონის პროექტი დანარჩენ ნაწილში შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მის მიმართ სხვა შენიშვნა არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი